




ცესკო

საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია



საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
ამომრჩევლებთან საუბრის ეთიკატიკა
და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ
ინსტრუქცია

2018 წელი

ვინ ითვლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები: ფიზიკური; ფსიქიკური; ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით. ასეთ ინდივიდებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და ეფექტური მონაწილეობის მიღებისას ხშირად ექმნებათ დაბრკოლება, რის გამოც ისინი არ არიან საზოგადოების სხვა წევრებთან თანაბარ პირობებში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის გარანტიები

გაეროს კონვენციის თანახმად¹, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ უფლებებს, ამ უფლებებით სარგებლობის თანაბარ შესაძლებლობებს და ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი, ეფექტური და სრულყოფილი მონაწილეობა, უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ხმა მისცენ და კენჭი იყარონ (არჩეულ იქნენ). ამისათვის სხვა ზომებთან ერთად:

- ▶ უზრუნველყოფენ საარჩევნო პროცედურების, საშუალებებისა და მასალების მისაწვდომ, მარტივად გასაგებ და გამოსაყენებელ ფორმატს;
- ▶ იცავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ არჩევნებისა და სახალხო რეფერენდუმების ფარულ კენჭისყრაში დაფარული, დაშინებისაგან თავისუფალი გზით მონაწილეობის, ასევე არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის დაყენების, სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე თანამდებობის დაკავებისა და საჯარო ფუნქციების შესრულების უფლებას, საჭიროების შემთხვევაში დამხმარე და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობით;
- ▶ უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, როგორც ამომრჩეველთა, თავისუფალი ნების გამოხატვას და ამასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში მათი თხოვნის საფუძველზე, მათ მიერ არჩეული პირის დახმარებას კენჭისყრის პროცედურაში.

საქართველომ 2014 წელს მოახდინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება. კონვენციის 29-ე მუხლი განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარ, ეფექტურ და სრულყოფილ მონაწილეობას.

თერმინთა განმარტება



უსინათლო – ადამიანი, რომელიც ვერ ხედავს



მცირემხედველი – ადამიანი, რომელსაც აქვს სუსტი მხედველობა



ზედა კიდურების არმქონე – ადამიანი, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები



ეტლით მოსარგებლე – ადამიანი, რომელიც გადაადგილდება ეტლით



ყრუ – ადამიანი, რომელსაც არ ესმის



სმენადაქვეითებული – ადამიანი, რომელსაც აქვს სუსტი სმენა



მხარდაჭერის მიმღები – მხარდაჭერის მიმღები არის ქმედუნარიანი ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (შემდგომ მხარდაჭერის მიმღები), ანუ 18 წლის ასაკს მიღწეული პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ საუბრის ეტიკეტი

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან საუბრის დროს უნდა გამოიყენოს შემდეგი ტერმინები:

- ▶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
- ▶ უსინათლო ან მცირემხედველი;
- ▶ ყრუ ან სმენადაქვეითებული;
- ▶ ეტლით მოსარგებლე.

ყურადღება!

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან საუბრის დროს **არ უნდა გამოიყენოს** შემდეგი ტერმინები: ინვალიდი, ხეიბარი; ბრმა; ყრუ-მუნჯი; ეტლს მიჯაჭვული; გონებრივად ჩამორჩენილი; დაუნი; აუტისტი.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებთან საუბრის დროს უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- ▶ ამომრჩეველს მიმართოს პირდაპირ და არა მის თანმხლებ პირს;
- ▶ ამომრჩეველს ჰკითხოს, საჭიროებს თუ არა სხვის დახმარებას;
- ▶ დეტალურად აუხსნას ხმის მიცემის პროცედურები.

ყურადღება!

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთან საუბრის დროს **არ უნდა** გამოხატოს სინანული.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კანჯისყრაში მონაწილეობა

თუ ამომრჩეველს არ შეუძლია საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსება, მას უფლება აქვს კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი გარდა (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 65.3):

- ▶ საარჩევნო კომისიის წევრისა;
- ▶ კანდიდატისა;
- ▶ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა;
- ▶ დამკვირვებლისა;
- ▶ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა.

უსინათლო და მცირემხედველ ამომრჩევლებთან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები უნდა მოიქცნენ შემდეგნაირად:

- ▶ უსინათლო ამომრჩეველს ჰკითხონ გადაადგილებისას ხომ არ სჭირდება დახმარება; თანხმობის შემთხვევაში უნდა დაუდგინონ გვერდით და გაუწოდონ ხელი ისე, რომ ოდნავ შეეხონ მის მაჯას;
- ▶ ესაუბრონ მკაფიოდ და ნელა.

ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი:

- ▶ სთხოვს ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
- ▶ უხსნის ამომრჩეველს იმ პროცედურას, რასაც რეგისტრატორი კომისიის წევრი ახორციელებს;
- ▶ უსინათლო ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენს გადასცემს სპეციალურ ჩარჩო/ფორმაში ჩადებულ მდგომარეობაში (ფოტო 1);
- ▶ მცირემხედველ ამომრჩეველს სთავაზობს გამადიდებელ ლინზას (ფოტო 2).

ყურადღება!

რეგისტრატორი კომისიის წევრის მაგიდაზე აუცილებლად განთავსებული უნდა იყოს საარჩევნო ბიულეტენის ჩარჩო/ფორმა (1 ცალი) და გამადიდებელი ლინზა (2 ცალი);

ჩარჩო/ფორმაში არსებული ყოველი წრიული ჭრილი უნდა ემთხვეოდეს ბიულეტენში არსებული საარჩევნო სუბიექტების რიგით ნომრებს;

რეგისტრატორი კომისიის წევრი ვალდებულია უსინათლო ამომრჩეველს მიაწოდოს ინფორმაცია საარჩევნო ბიულეტენში არსებული საარჩევნო სუბიექტების რიგითობის შესახებ.



ფოტო 1
ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა



ფოტო 2
გამადიდებელი ლინზა

ზედა კიდურების არმქონე ამომრჩევლებთან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები უნდა მოიქცნენ შემდეგნაირად (ცესკოს დადგენილება №20/2012):

- ▶ არ გაატარონ მარკირების შემოწმებისა და მარკირების პროცედურები;
- ▶ ამომრჩევლისათვის საარჩევნო ბიულეტენის გადაცემისას რეგისტრატორი კომისიის წევრი ამომრჩეველთა ერთიანი სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა“ აკეთებს ჩანაწერს „ფიზიკური მდგომარეობა“ და ხელმოწერით ადასტურებს;

ყურადღება!

ზედა კიდურების არმქონე ამომრჩეველს კენჭისყრაში მონაწილეობისთვის სჭირდება სხვისი დახმარება. მის მიერ არჩეული პირი, ზედა კიდურების არმქონე პირს ემხარება კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის შევსებაში. ასევე, მისი თანდასწრებით საარჩევნო ბიულეტენს დებს სპეციალურ კონვერტში, რომელსაც ათავსებს საარჩევნო ყუთში.

ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებთან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები უნდა მოიქცნენ შემდეგნაირად:

- ▶ თუ საუბარი ერთ ნუთზე მეტხანს გასტანს, დასხდნენ მის წინ და ესაუბრონ პირისპირ;
- ▶ გაათავისუფლონ გზა, რადგან ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველმა კენჭისყრის ოთახში დამოუკიდებლად შეძლოს გადაადგილება.

ყურადღება!

თუ საარჩევნო უბანი ადაპტირებულია (შენობას გააჩნია პანდუსი ან/და მარტივი ადაპტაცია) აუცილებელია კენჭისყრის ოთახში განთავსდეს ხმის მიცემის სპეციალური კაბინა (**ფოტო 3**);
კატეგორიულად აკრძალულია ეტლზე დაყრდნობა ან ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის თვითნებური გადაადგილება.



ფოტო 3
ხმის მიცემის სპეციალური კაბინა

ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებთან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები უნდა მოიქცნენ შემდეგნაირად:

- ▶ თუ ამომრჩეველი მიუთითებს, რომ მას არ ესმის ან არ შეუძლია საუბარი, ეკონტაქტონ წერილობითი ფორმით;
- ▶ თუ საარჩევნო უბანზე მოსულ ამომრჩეველს საუბარი არ შეუძლია (ყრუ ან/და სმენადაქვეითებული) და არ იცის კენჭისყრის პროცედურა, აჩვენონ კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი (ფოტო 4).



ფოტო 4
კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი

ყურადღება!
ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებს საუბრის დროს უყურეთ პირდაპირ.

ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩეველს, ცესკოს ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ, საშუალება აქვს ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში განახორციელოს ვიდეო ბარი და საარჩევნო უბანზე ისარგებლოს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორის მომსახურებით.

მხარდაჭერის მიმღებ პირებთან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები უნდა მოიქცნენ შემდეგნაირად:

- ▶ თუ მხარდაჭერის მიმღებ პირს საუბარი არ შეუძლია და არ იცის ხმის მიცემის პროცედურა, აჩვენონ კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი.

ყურადღება!
გახსოვდეთ, რომ მხარდაჭერის მიმღებ პირს კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება შეუძლია დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 3 ა.გ; მუხლი 65.3).

შპს ამომრჩეველთა კენჭისყრაში მონაწილეობის თაობაზე სტატისტიკის წარმოება

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა კენჭისყრის დღეს უნდა შეავსონ შპს პირთა არჩევნებში მონაწილეობის სტატისტიკის ცხრილი (ცხრილი 1; ცხრილი 2) და კენჭისყრის დასრულების შემდეგ სხვა საარჩევნო დოკუმენტაციასთან ერთად გადასცენ საოლქო საარჩევნო კომისიას.

სტატისტიკის ცხრილი ივსება, როგორც საარჩევნო უბანზე (იხ. ცხრილი 1), ისე გადასატანი ყუთით სარგებლობის შემთხვევაში (იხ. ცხრილი 2).


ცხრილი 1.

№ ____ ოლქის № ____ საუბნო საარჩევნო კომისია უბანზე მოსული შპს ამომრჩეველი

N	შპს ამომრჩეველი	რა სერვისი გამოიყენა?	სულ
1	ეტლით მოსარგებლე/ ფიზიკური შეზღუდვის მქონე	დამოუკიდებლად მიიღო არჩევნებში მონაწილეობა	
		სხვისი დახმარებით	
2	ყრუ/სმენადაქვეითებული	დამოუკიდებლად მიიღო არჩევნებში მონაწილეობა	
		სხვისი დახმარებით	
3	ქმედუნარიანი ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (მხარდაჭერის მიმღები)	დამოუკიდებლად მიიღო არჩევნებში მონაწილეობა	
		სხვისი დახმარებით	
4	უსინათლო	ხმის მიცემა საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ ფორმის გამოყენებით	
		სხვისი დახმარებით	
5	მცირემხედველი	ხმის მიცემა გამადიდებელი ლინზის გამოყენებით	

№ ____ ოლქის № ____ საუბნო საარჩევნო კომისია შშმ ამომრჩეველი,
რომელმაც გადასატანი ყუთის გამოყენებით მიიღო არჩევნებში მონაწილეობა

N	შშმ ამომრჩეველი	სულ
1	ეტლით მოსარგებლე/ფიზიკური შეზღუდვის მქონე	
2	ყრუ/სმენადაქვეითებული	
3	ქმედუნარიანი ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (მხარდაჭერის მიმღები)	
4	უსინათლო	
5	მცირემხედველი	



**ცესკოსა და სწავლების ცენტრის ოფიციალური ვებგვერდები
ადაპტირებულია უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის**

**www.cesko.ge
www.electionreforms.ge**

ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი 2 51 00 51